<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N19-20, 30/07/1996 გვ.11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) საქართველოს სამინისტრო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.“

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტის პროექტს მის გაფორმებამდე საქართველოს შესაბამისი სამინისტრო განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის, საქართველოს მთავრობის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.’’.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**